

საქართველო  
საგარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
რექტორი  ი. შარაბიძე  
29.10.2012




ფაკულტეტის დეკანის არჩევნების წესი და საარჩევნო  
პროცედურა

ND 2-O04-02

შეთანხმებულია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  ლ. ჯაყელი

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი  რ. ყიფიანი

ND 2-O04-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია № 1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012



## შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	ზოგადი დებულებები	4
4	არჩევნების გამოცხადება	5
5	კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები და საარჩევნო კრიტერიუმები	5
6	ინტერესთა შეუთავსებლობა	6
7	ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი	6
8	ფაკულტეტის დეკანის არჩევნები	6
9	წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია	7
10	საარჩევნო სიები	8
11	საარჩევნო ბიულეტენი	8
12	საარჩევნო ყუთი	9
13	არჩევნების ორგანიზება	10
14	არჩევნების პროცედურა	10
15	შედეგების შეჯამება	11
16	დამკვირვებელი	12
17	დარღვევის ოქმი	12
18	არცევნების შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება	13
19	საბოლოო შედეგების გამოქვეყნება	14
20	გავრცელების არე	14

ND 2-O04-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 29.10.2012

მოქმედებაშია 29.10.2012

შეუქმადე არ მათვალეს დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღრვიანული კვ ზეშედეგი“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალეს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
4. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
5. დოკუმენტაციის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
6. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
7. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

## 2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

### 2.1. ტერმინები

1. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
2. **სენატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
3. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
4. **დეკანი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის ხელმძღვანელი;
5. **ფაკულტეტის საბჭო** - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო;

ND 2-004-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 29.10.2012

მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრეფტული გეგმპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



6. **აკადემიური წოდება** – წოდება (საკვალიფიკაციო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;
7. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
8. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;
9. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს ძირითად სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
10. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
11. **საარჩევნო კომისია** – რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების ჩატარებას.

## 2.2. შემოკლებები.

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
3. **ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საარჩევნო კომისია** - საარჩევნო კომისია.
4. **ფაკულტეტის დეკანის არჩევნები** - არჩევნები.

ND 2-004-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

შექმნილია არააღიარებული დოკუმენტის ანგარიშის ნაბეჭდი ასლი. თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრეფტული ვერსიონი“, რეკვიზიტი ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაივლიდა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



### 3. ზოგადი დებულებები

- 3.1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ფაკულტეტის დეკანის (შემდგომში - დეკანი) თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო პროცედურას.
- 3.2. არჩევნების ორგანიზების მიზნით აკადემიაში რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, აკადემიის წესდების შესაბამისად, იქმნება აკადემიის საარჩევნო კომისია, რომელიც შემადგენლობაში უნდა შევიდნენ აკადემიის თანამშრომლები და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.
- 3.3. არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

### 4. არჩევნების გამოცხადება

- 4.1. სენატი იღებს გადაწყვეტილებას დეკანის არჩევნების გამოცხადების თაობაზე.
- 4.2. დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, 4 (ოთხი) წლის ვადით.
- 4.3. ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს განცხადებას დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ. კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის ვადა, კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღი.
- 4.4. არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით უნდა განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე და გამოიკრას აკადემიის თვალსაჩინო ადგილებში, მათ შორის ფაკულტეტებზე.

### 5. კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები და საარჩევნო კრიტერიუმები

ND 2-004-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- 5.1. კანდიდატათათვის აუცილებელი შესარჩევი მინიმალური კრიტერიუმები:
  - 5.1.1. უმაღლესი განათლება;
  - 5.1.2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
- 5.2. ასარჩევ თანამდებობაზე მსურველმა კანდიდატმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნებს.
- 5.3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
  - 5.3.1. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (დიპლომის) ასლი;
  - 5.3.2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - 5.3.3. ავტობიოგრაფია/CV;
  - 5.3.4. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
  - 5.3.5. 2 ც. ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;
- 5.4. აკადემიის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია კანდიდატებს დაევალოთ დამატებითი დოკუმენტების წარდგენა ან დაწესდეს დამატებითი შესარჩევი კრიტერიუმები.

## 6. ინტერესთა შეუთავსებლობა

- 6.1. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ასარჩევ თანამდებობაზე მონაწილე პირი ან აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

## 7. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

- 7.1. კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს აკადემიის საარჩევნო კომისია.
- 7.2. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. აკადემიის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე

ND 2-O04-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის ირეგულირება ანუ ის, თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში.

- 7.3. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას დაწესებულების საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის ვადაში.
- 7.4. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს გადასცემს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.

## 8. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

- 8.1. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- 8.2. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე მეტს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელ კანდიდატთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, გონივრულ ვადაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

## 9. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

- 9.1. კანდიდატს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
- 9.2. კანდიდატებს, უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.
- 9.3. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
- 9.4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
  - 9.4.1. საარჩევნო კომისიების წევრებს;
  - 9.4.2. ადმინისტრაციულ პერსონალს.



- 9.5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
- 9.6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი აკადემიის სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს აკადემიაში ან ზიანს აყენებს აკადემიის ქონებას.
- 9.7. აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არა აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აკადემიის ფართით სარგებლობაზე. ყველა კანდიდატისათვის აკადემიის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.
- 9.8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული უარი არის წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში საჩივრდება აკადემიის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

## 10. საარჩევნო სიები

- 10.1. საარჩევნო სიებს ადგენს აკადემიის საარჩევნო კომისია, ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი მონაცემების შესაბამისად.
- 10.2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საარჩევნო სიები დგება ცალ-ცალკე.
- 10.3. ფაკულტეტის სტუდენტთა ამომრჩეველთა სიებში შეიტანება ფაკულტეტის საბჭოში არჩეული სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
- 10.4. აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება შესაბამისი ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი.
- 10.5. ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:
  - 10.5.1. ამომრჩევლის სახელი და გვარი;

ND 2-O04-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალიზაცია ანუ ის, თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





- 10.5.2. პირადი ნომერი, სტუდენტის ბილეთის ან აკადემიური მოსწრების წიგნაკის ნომერი ან დეკანატის მიერ გაცემული ცნობის ნომერი – სტუდენტი ამომრჩევლისათვის, ხოლო აკადემიური პერსონალის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ნომერი ან აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობის ნომერი.
- 10.6. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირის - ამომრჩევლის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეტანა ან იმავე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში რამოდენიმეჯერ დაფიქსირება.

## 11. საარჩევნო ბიულეტენი

- 11.1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
- 11.2. საარჩევნო ბიულეტენები მზადდება და იბეჭდება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობითა და პასუხისმგებლობით.
- 11.3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
- 11.4. აკადემიისა შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;
- 11.5. ვისი არჩევნებისთვის არის საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი;
- 11.6. ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
- 11.7. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა;
- 11.8. საარჩევნო კომისიის ბეჭედი;
- 11.9. დაუშვებელია ერთ კონკრეტულ ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა.
- 11.10. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა სტუდენტზე პირადობის მოწმობის ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ან/და აკადემიური მოსწრების წიგნაკის წარმოდგენის შემთხვევაში. ხოლო აკადემიურ პერსონალზე – პირადობის მოწმობის, აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

## 12. საარჩევნო ყუთი

- 12.1. აკადემიის არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთით.



- 12.2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი არჩევნებისთვისაა იგი განკუთვნილი.
- 12.3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
- 12.4. საკონტროლო ფურცელი დეგბა 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი ფაკულტეტისა და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.
- 12.5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.
- 12.6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

### 13. არჩევნების ორგანიზება

- 13.1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს აკადემია.
- 13.2. აკადემია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.
- 13.3. არჩევნები (კენჭისყრა) იწყება არჩევნების (კენჭისყრის) დღის 10 სათზე და მთავრდება საღამოს 17 საათზე.
- 13.4. საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების (კენჭისყრის) დაწყებამდე 1 საათით ადრე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს.
- 13.5. წილისყრის შედეგად გამოვლინდება რეგისტრატორი, საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი და ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი წევრები. რეგისტრატორი არეგისტრირებს არჩევნებში გამოცხადებულ ამომრჩევლებს შესაბამის სიაში. საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრი აწერს ბიულეტენზე ხელს და გადასცემს მას ამომრჩეველს, ხოლო ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი უზრუნველყოფს საარჩევნო ოთახში ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზებულობას და წესრიგს.

ND 2-004-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

შეუქმად არ მათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეივული კვ ზემლარი“. რევიზია ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



13.6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

## 14. არჩევნების პროცედურა

- 14.1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც შემოხაზავს მისთვის სასურველი ერთი კანდიდატურის რიგით ნომერს, მოათავსებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.
- 14.2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

## 15. შედეგების შეჯამება

- 15.1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას საარჩევნო სიებში შესრულებული ხელმოწერების მიხედვით. აღნიშნული ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
- 15.2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.
- 15.3. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.
- 15.4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
  - 15.4.1. არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
  - 15.4.2. არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურის რიგითი ნომერი;
  - 15.4.3. შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურის რიგითი ნომერი;
  - 15.4.4. შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;



- 15.4.5. მასზე არ არის მითითებული იმ ფაკულტეტის სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.
- 15.4.6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი და ოქმში შეიტანება შემდეგი მონაცემები;
- 15.4.7. ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
- 15.4.8. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
- 15.4.9. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
- 15.4.10. ბათილი და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- 15.4.11. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
- 15.4.12. კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.
- 15.4.13. არჩეულად ითვლება ამ წესში გაწერილი წესით საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი.

## 16. დამკვირვებელი

- 16.1. აკადემიაში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე მიმართონ აკადემიის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
- 16.2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.
- 16.3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
  - 16.3.1. ასარჩევი კანდიდატი;
  - 16.3.2. იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
  - 16.3.3. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.
- 16.4. დამკვირვებელი უფლებამოსილია:
  - 16.4.1. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს ამ დარღვევის შესახებ და მოითხოვოს მისი აღკვეთა;
  - 16.4.2. კომისიის თავმჯდომარის მიერ 16.4.1. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;
  - 16.4.3. წარადგინოს საჩივარი აკადემიის საარჩევნო კომისიაში.

ND 2-004-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედებს არსებული დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი. თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არააქტიური“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლურად ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bma.edu.ge](http://www.office.bma.edu.ge)



16.4.4. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

16.4.5. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებაში.

## 17. დარღვევის ოქმი

17.1. არჩევნების დღეს ამ წესით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მითითება:

17.1.1. ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

17.1.2. ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

17.1.3. დარღვევის შინაარსი;

17.1.4. დარღვევის დაფიქსირების დრო;

17.1.5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;

17.1.6. მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;

17.1.7. ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

17.1.8. ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

## 18. არჩევნების შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება

18.1. არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. აკადემიის საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს არჩევნების შედეგების გამოქვეყნება აკადემიის და შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე, ასევე აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

18.2. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ წესდებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით აკადემიის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

18.3. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

18.3.1. საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ND 2-004-02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 29.10.2012

მოქმედებაშია 29.10.2012

შეშვად ან ჩათვალს დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრეზული ცეგნული“. რეკვიზიტი ასლზე დაატანს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩათვალს როგორც „არაავტორიზებული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)





- 18.3.2. საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);
- 18.3.3. დარღვევის შინაარსი;
- 18.3.4. მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
- 18.3.5. საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
- 18.3.6. საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.
- 18.3.7. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 18.3.8. აკადემიის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.
- 18.3.9. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას აკადემიის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ წესდებით დადგენილი წესის ან/და საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

## 19. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

- 19.1. აკადემიის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ფაქულტეტებზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.
- 19.2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

## 20. გავრცელების არე

- 20.1. დოკუმენტის ორიგინალი და საკონტროლო ეგზემპლარები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- 20.2. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- 20.3. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)

ND 2-004-02  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 29.10.2012  
მოქმედებაშია 29.10.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არევიანი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)